N 01/4359
16/09/2020

4359-01-2-202009161345

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

მისამართი : მარშალ გელოვანის 6, 0159,
საქართველო, თბილისი
ცხელი ხაზი : 1501
ტელეფონი : + 995(32) 2 47 01 01
+ 995(32) 2 37 80 09
ელ.ფოსტა : info@mepa.gov.ge

მოგახსენებთ, რომ ჩვენმა პროექტანტმა შპს "ჯეოსილქროუდმა" 22.06.2020 წარადგინა სამინისტროში სკრინინგის განაცხადი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის N1 ავტობაზის რეკონსტრუქციის პროექტზე. სამინისტროსგან მიღებული შენიშვნებიდან გამომდინარე, (წერილი №6112/01), თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ, უკვე როგორც უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებელმა, 27.07.2020 წარუდგინა სამინისტროს სკრინინგის განაცხადი და ანგარიში, სადაც სამინისტროს შენიშვნები იქნა გათვალისწინებული. განახლებულ განაცხადში მოხსენიებულია მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება კოდექსის მე-II დანართის 3.5 და 10.6 ქვეპუნქტებს - დიზელგასამართი სადგური მიწისქვეშა რეზერვუარებით და სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ ინტერესს წარმოადგენს საპროექტო ავტობაზის გარე ქსელების მოწყობა და ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების მიერთება ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობასთან, გაჩნდა საჭიროება დამატებით წარმოგიდგინოთ პროექტით გათვალისწინებული წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების გარე ქსელების სქემა.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ შეწყვიტოთ მიმდინარე წარმოება #11600 27.07.2020 განაცხადის მიხედვით და მიიღოთ წარმოებაში ხელახალი **სკრინინგის განაცხადი თბილისის სატრანსპორტო კომპანიის N1 ავტობაზის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში დიზელგასამართი სადგურის და სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობაზე**, რომელსაც დამატებით თან ვურთავთ წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების გარე ქსელების სქემას.

წინამდებარე წერილს თან ერთვის შემდეგი ფაილები:
დანართი1: „TTC ავტობაზა N1_სკრინინგის ანგარიში_16.09.20“.docx
დანართი2: „TTC ავტობაზა N1_გარე ქსელების სქემა“.pdf
დანართი 3: “TTC ავტობაზა N1_სანიაღვრე წყლების გაანგარიშება“.xlsx

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი